პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____სექტემბერი_____ 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
(მდებარე ქალაქ ქუთაისში, თამარ მეფის ქუჩა №85)
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ,
სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 30 აგვისტოს №5/50096 და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის ---- სექტემბრის ---------- წერილობითი მომართვების შესაბამისად:

მუხლი 1. გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრებაში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: ქალაქ ქუთაისში, თამარ მეფის ქუჩა №85-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა №1; (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.03.27.560; მიწის ფართობი: 248.00 კვ.მ), შემდგომში მოქალაქეების ზურაბ აფრიდონიძის (პირადი №60002017498) და დავით ფაილოძის (პირადი №60001019076) საკუთრებაში არსებულ, ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა №58ბ-ს ჩრდილოეთით მდებარე მიწის ნაკვეთთან (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.03.22.716; მიწის ფართობი: 248.00 კვ.მ) ადგილმონაცვლეობის მიზნით.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქონების გადაცემის მიზნით, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი — დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
(მდებარე ქალაქ ქუთაისში, თამარ მეფის ქუჩა №85)

პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ,
სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში განხილული იქნა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის ბატონ ირაკლი შენგელიას მომართვა (30.08.2024წ. №5/50096), რომლითაც მოთხოვნილია ქალაქ ქუთაისში, თამარ მეფის ქუჩა №85 მდებარე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №03.03.27.560) სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემა.

მოგახსენებთ, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ელექტრონული აუქციონის ფორმით გასხვისებული იქნა (საკუთრების მოწმობა N24; 05.07.18წ.) ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა N58ბ-ს ჩრდილოეთით მდებარე მიწის ნაკვეთი (ს/კ N03.05.22.346; ფართობი 158კვ.მ). მაშინდელმა მესაკუთრემ (ირმა მამრიკიშვილი, პირადი 60001049083) შემდგომში მოახდინა საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების გაერთიანება და გაასხვისა (ს/კ N03.05.22.716; ფართობი 267კვ.მ).

ახლანდელი მესაკუთრეები (ზურაბ აფრიდონიძე, პირადი 60002017498; დავით ფაილოძე, პირადი 60001019076) პროექტის განხორციელების პროცესში სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდნენ მოსახლეობის მხრიდან.

მოსახლეობა წინააღმდეგია მესაკუთრეებმა რაიმე სახის მშენებლობა განახორციელონ მიწის ნაკვეთზე. მოსახლეობამ დახმარებისათვის მიმართა ქალაქ ქუთაისის საკანონმდებლო ორგანოს, კერძოდ, მოსახლეობის წარმომადგენელმა სიტყვით გამოსვლა ითხოვა და გამოვიდა საკრებულოს სხდომაზე აღნიშნული საკითხის მოგვარებისათვის. პარალელურად მომართა აღმასრულებელ ორგანოს ადმინისტრაციული საჩივრით და მოითხოვა დაგეგმილი მშენებლობის შეჩერება.

დაძაბულობის განმუხტვისათვის, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტმა განიხილა უძრავი ქონების გაცვლის შესაძლებლობა და მიმართა იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციას (თან ერთვის), შუამდგომლობა გაეწია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს წინაშე, ამასთან, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტმა გამოთქვა მზადყოფნა, ალტერნატიულ ქონებად განხილულიყო ქალაქ ქუთაისში, თამარ მეფის ქუჩა N85-ში მდებარე, მუნიციპალიტეტის კუთვნილი უძრავი ქონება (ს/კ N03.03.27.560; ფართობი 248კვ.მ და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა N1). მესაკუთრეებმა: ზურაბ აფრიდონიძემ, (პირადი 60002017498) და დავით ფაილოძემ, (პირადი 60001019076) განცხადებით დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია უძრავი ქონების გაცვლასთან დაკავშირებით (თან ერთვის).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ქალაქ ქუთაისში, თამარ მეფის ქუჩა №85-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა №1; (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.03.27.560; მიწის ფართობი: 248.00 კვ.მ), სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში მოქალაქეების ზურაბ აფრიდონიძის, (პირადი №60002017498) და დავით ფაილოძის (პირადი №60001019076) საკუთრებაში არსებულ, ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა №58ბ-ს ჩრდილოეთით მდებარე მიწის ნაკვეთთან (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.03.22.716; მიწის ფართობი: 248.00 კვ.მ) ადგილმონაცვლეობის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის მიზნით, საკრებულო უფლებამოსილია ამ კანონით დადგენილი წესით მიიღოს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ. 108-ე მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, მათ შორის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი (განუსხვისებელი) ქონებისა) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცემა „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ქონების მმართველის დასაბუთებული მომართვის საფუძველზე.

წარმოდგენილია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (მდებარე ქალაქ ქუთაისში, თამარ მეფის ქუჩა №85) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ". საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მ/შემსრულებელი ვალერიან სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი — დავით ერემეიშვილი